

დისკრეციული უფლებამოსილება ადმინისტრაციულ

სამართალში

აკაკი სალუქვაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის
ფაკულტეტზე სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების*

შესაბამისად

საჯარო სამართალი და პოლიტიკა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ქეთევან ცხადაძე, სამართლის დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019

განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

აკაკი სალუქვაძე.

აბსტრაქტი:

ადმინისტრაციული სამართლის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან და საკამათო საკითხს დისკრეციული უფლებამოსილება წარმოადგენს. დაახლოებით ორასი წელია არ განელეზულა დავა ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციული უფლებამოსილების თაობაზე. დისკრეციული უფლებამოსილება ადმინისტრაციული სამართლის ერთ-ერთ პრინციპს წარმოადგენს და იგი, უფლებამოსილებაა დისკრეციული უფლებამოსილებით აღჭურვილმა პირმა/ორგანომ კანონმდებლობის შესაბამისი რამდენიმე გადაწყვეტილებიდან შეარჩიოს ყველაზე მეტად მისაღები გადაწყვეტილება.

ნაშრომი შედგება შესავლის, ხუთი თავის, დასკვნისა და ბიბლიოგრაფიისაგან. ნაშრომის კვლევის მეთოდად გამოყენებული იქნება ისტორიული, ლოგიკური, ანალიტიკური და შედარებით-სამართლებრივი მეთოდები. აღნიშნული ნაშრომის ფარგლებში განხილული იქნება დისკრეციული უფლებამოსილების ისტორია, მისი ადგილი ადმინისტრაციულ სამართალში, ასევე მისი საკანონმდებლო რეგულაცია და პრაქტიკული მაგალითი.

დისკრეციული უფლებამოსილება ადმინისტრაციული სამართლის ერთ-ერთ პრინციპს წარმოადგენს, აქედან გამომდინარე იმისათვის, რომ გავიგოთ მისი როლი ადმინისტრაციულ სამართალში განხილული იქნება რომელ პრინციპებთან უწევს მას თანაარსებობა ადმინისტრაციული სამართლის ფორმირების პროცესში.

მიუხედავას იმისა, რომ დისკრეციული უფლებამოსილებისათვის საქართველოს ადმინისტრაციულ კოდექსში დათმობილია არა ერთი მუხლი, რომელიც პირდაპირ თუ ირიბად აღწერს ან/და აკონკრეტებს დისკრეციული უფლების არსსა და მისი მოქმედების ფარგლებს უდაოა ფაქტი, რომ დისკრეციული უფლებამოსილება ადმინისტრაციულ სამართალში მაინც საკმაოდ რთულ და მნიშვნელოვან საკითხად რჩება. სწორედ მისი სირთულიდან გამომდინარეობს ის ფაქტი, რომ იურიდიულ ლიტერატურასა და სასამართლო პრაქტიკაში დამკვიდრებულია ტერმინი „შეცდომა დისკრეციულ უფლებამოსილებაში“.

დისკრეციული უფლებამოსილების გარშემო წარმოშობილი დავის საგანს წარმოადგენს მოსაზრება, რომლის თანახმადაც დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში ადმინისტრაციული ორგანო სარგებლობს „თავისუფლებით“ მიიღოს გადაწყვეტილება და სასამართლო არ არის უფლებამოსილი განიხილოს ის. სხვადასხვა დროს არაერთი მეცნიერი ცდილობდა დაემტკიცებინა ამა თუ იმ პოზიციის უპირატესობა მეორეს მიმართ, თუმცა ერთადერთ კონსესუს დისკრეციული უფლებამოსილების გარშემო წარმოადგენს ის ფაქტი, რომ დისკრეციული უფლებამოსილება კავშირშია არჩევანთან.

მიუხედავად იმისა რომ, როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლეებს საკმაოდ ხშირად უწევთ განიხილონ დავა, რომელიც ეხება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენებას, აღნიშნული ნაშრომის ფარგლებში განხილული იქნება ერთი საქმე, რომელიც ნათლად წარმოაჩენს, როგორც დისკრეციული უფლებამოსილების სირთულეს, ისე სასამართლოს არაერთგვაროვან პრაქტიკას.

ნაშრომის ბოლოს, განხილული იქნება ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციული უფლებამოსილების არსი, ასევე განხილული იქნება სასამართლოსა და ადმინისტრაციული ორგანოს/პირის ურთიერთობის ფორმა დისკრეციულ უფლებამოსილებასთან მიმართებაში.

ძირითადი საძიებო სიტყვები: დისკრეციული უფლებამოსილება, ადმინისტრაციული ორგანო, დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში.

Abstract

One of the most important and controversial issues of administrative law is discretion. Approximately two hundred years there is a non-stop dispute about mentioned issue. Discretion as one of the principles of administrative law means the power of the person/body that can choose the most appropriate decision from several options.

Presented paper consists of introduction, five chapters, conclusion and bibliography. Author used different research methods, such as historical, logical, analytical and comparative-legal methods. Presented paper discusses the history of development of concept “discretion”, its’ significance in administrative law, legislative regulation and practice.

Discretion is one of the principles of administrative law, and therefore, in order to understand its’ place in administrative law, other principles, that are in coexistence with discretion, will be reviewed.

Georgian Administrative Code includes several articles on discretionary powers, that directly or indirectly describes and/or specifies the importance of discretion and its’ scope. Despite the fact mentioned, there is no doubt that discretionary powers still remain as a one of the most difficult and significant issue in administrative law. Complexity of the discretion concept causes the existence of term “a mistake in a discretion power”.

The main object of dispute over the discretion powers is wheather is discretion the choice or not of administrative body in decision-making process. Over the years scientists have tried to prove the advantages of their opinion, but only consensus they reached is the fact that discretionary powers are linked to choice.

Although there are a lot of examples both in Georgian and Other states’ administrative courts regarding the discretion, presented papers considered a single case that clearly demonstrates the difficulty of discretion and differentiated court practice.

The last part of the paper includes the formation of the essence of discretionary powers of the administrative body, as well as the relation between court and the administrative body/person in scope of discretion powers.

Key words: Discretionary authority, administrative body, within discretionary powers.